სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №212

ქ. თბილისი

19 დეკემბერი, 2016 წელი

ერთის მხრივ, ***სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*** (შემდგომში - შემსყიდველი), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით და მეორეს მხრივ, ***შპს „წიგნის სამყარო"*** (შემდგომში - მიმწოდებელი) დირექტორის ირაკლი სებისკვერაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: *სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (პრეზიდენტის 2016 წლის 5 აგვისტოს №05/08/01 განკარგულების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის" განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით) ბეჭდური ლიტერატურის /ნაბეჭდი წიგნების; ენციკლოპედიების/* შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: *ბეჭდური ლიტერატურა* - ***ნაბეჭდი წიგნები (CPV: 22110000) და ენციკლოპედიები (CPV: 22114500):***

- *„ისლამი", ნ. გელოვანი; გ. სანიკიძე, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 12 (თორმეტი) ლარი;*
- *„კულტუროლოგია ყმაწვილთათვის", 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 14 (თოთხმეტი) ლარი;*
- *„ევროპის ენთოლოგია", რ. თოფჩიშვილი, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 16 (თექვსმეტი) ლარი;*
- *„იბერიულ-კავკასიურ ენათა ლინგვისტური ბიბლიოგრაფია", გ. თოფურია, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 51 (ორმოცდათერთმეტი) ლარი;*
- *„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები", მ. ქურდიანი, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 70 (სამოცდაათი) ლარი;*
- *„ი. ჯავახიშვილი: ენციკლოპედიური ლექსიკონი", 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 33 (ოცდაცამეტი) ლარი;*
- *„ივირონის აქტები", ტომი I, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 25 (ოცდახუთი) ლარი;*
- *„ივირონის აქტები", ტომი II, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 25 (ოცდახუთი) ლარი;*
- *„ივირონის აქტები", ტომი III, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 25 (ოცდახუთი) ლარი;*
- *„ივირონის აქტები", ტომი IV, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 25 (ოცდახუთი) ლარი;*
- *„მეოცე საუკუნის მსოფლიო, საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან", უილიამ რ. ქილორი, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 32 (ოცდათორმეტი) ლარი;*
- *„მსოფლიოს ფიზიკური გეოგრაფია", ზ. სეფერთელაძე; ე. დავითაია; ნ. პაიჭაძე; თ. ალექსიძე, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 16 (თექვსმეტი) ლარი;*
- *„ნავთობისა და ბუნებრივი აირების ქიმია",1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 16 (თექვსმეტი) ლარი;*
- *„ომებიადა", ჯ. შარაშენიძე, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 30 (ოცდაათი) ლარი;*
- *„საქართველოს გეოგრაფია", ნ. ბოლაშვილი, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 23 (ოცდასამი) ლარი;*
- *„საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები", ო. ჯაფარიძე, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 34 (ოცდათოთხმეტი) ლარი;*
- *„უმაღლესი მათემატიკა", I ნაწილი, გ. ჯაიანი, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 17 (ჩვიდმეტი) ლარი;*
- *„უმაღლესი მათემატიკა", II ნაწილი, გ. ჯაიანი; ნ. ჩინჩალაძე, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 16 (თექვსმეტი) ლარი;*

- *„ქართული სამხედრო ხელოვნება", ჯ. შარაშენიძე, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 20 (ოცი) ლარი;*
- *„შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX - XVI ", ს. მარგიშვილი, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 30 (ოცდაათი) ლარი;*
- *„შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან", ო. ჯაფარიძე, 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 16 (თექვსმეტი) ლარი;*
- *„მითოლოგია, მითები და ლეგენდები", 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 70 (სამოცდაათი) ლარი;*
- *„ენციკლოპედია ყველაფრის შესახებ", 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 16 (თექვსმეტი) ლარი;*
- *„საბავშვო ენციკლოპედია", 1 (ერთი) ეგზემპლიარი; ღირებულება - 12 (თორმეტი) ლარი;*

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **644** *(ექვსას ორმოცდაოთხი) ლარი.*

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №53.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები ან ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დავით ჩოჩიშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი მისამართი - ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. №53 ტელ.: 0 370 22 94 90 საიდენტიფიკაციო კოდი - 218076542 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 ხაზინის ერთიანი ანგარიში *ადმინისტრაციის ხელმძღვანელი* *გიორგი ხორბალაძე* ----------	*შპს „წიგნის სამყარო“* ფაქტ. მისამართი - ქ.თბილისი, სოფ. დიღომი იურიდ. მისამ.: თბილისი, გლდანის მე-5 მ/რნი, კორპ. 10, ბ. 4 ტელ.: 591 19 22 23; 2 18 41 21; 2 61 41 21 საიდენტიფიკაციო კოდი - 200126782 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს ცენტ. ფილიალი ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიშის ნომერი GE02BG0000000113331500 *დირექტორი* *ირაკლი სებისკვერაძე* ----------